

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერის სხდომის

ოქმი #4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წლის 8 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 28 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტი წევრების უფლებამოსილების ცნობა;
2. პროგრამული ცვლილებები შესახებ;
3. კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული) საბაკალავრო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის დამტკიცების შესახებ;
4. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ;
5. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტი წევრების უფლებამოსილების ცნობა. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ გადმოგზავნილი იმ სტუდენტების სია, რომლებიც მათ წარადგინეს ფაკულტეტის საბჭოს წევრებად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფაკულტეტის წევრების უფლებამოსილების ცნობის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ საბჭოს წევრებად ცნო შემდეგი სტუდენტი წევრების უფლებამოსილება:

1. ამბროსაშვილი ლუკა, კომპ. მეცნ.
2. ბარაკოვი ალექსანდრე, კომპ. მეცნ. (ინგლ)
3. გერგედავა ლუკა, კომპ. მეცნ. (ფრ)
4. გოგოტიშვილი ლუკა, კომპ. მეცნ.
5. გუგუნაძე თეონა, ბიოლოგია
6. თათელაძე ელენე, გამ. ბიომეცნ.

- | | |
|------------------------|-------------|
| 7. ლეფსაია ალექსანდრე, | კომპ. მეცნ. |
| 8. სანადირაძე სალომე, | კომპ. მეცნ. |
| 9. ქავთარაძე ილია, | გეოგრაფია. |

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – პროგრამული ცვლილებები შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 1). ცვლილებები შეეხო შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს: „კომპიუტერული მეცნიერება“ (დასაბუთება: სტუდენტებისთვის ზოგადი განათლების არეალის გაფართოება, სტუდენტების მოთხოვნის დაკმაყოფილება), „კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)“ (დასაბუთება: სტუდენტებისთვის ზოგადი განათლების არეალის გაფართოება, სტუდენტების მოთხოვნის დაკმაყოფილება), „ქიმია (ინგლისურენოვანი)“ (დასაბუთება: მთელი სემესტრის განმავლობაში სტუდენტების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა), „ბიოლოგია“ (დასაბუთება: ექსპერტთა რეკომენდაციები, სილაბუსის განახლება), „მათემატიკა“ (დასაბუთება: პროგრამის განვითარება), „ეკოლოგია“ (დასაბუთება: პროგრამის ახალ რედაქციასთან თავსებადობა), „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ (დასაბუთება: ექსპერტთა რეკომენდაციები). ცვლილებები ასევე შეეხო შემდეგ სამაგისტრო პროგრამებს: „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (დასაბუთება: დასაქმების ბაზრის ტენდენცია, პროგრამის განვითარება), „ბიოლოგია“ (დასაბუთება: ბიოლოგიის დეპარტამენტში მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მზარდი რაოდენობა, რომელთაც საბაკალავრო ხარისხი მიღებული აქვთ აგრარულ მეცნიერებებში), „მათემატიკა“ (დასაბუთება: პროგრამის განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროგრამული ცვლილებების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებები (იხ. დანართი 1):

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული) საბაკალავრო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტი (იხ. დანართი 2). შესაბამისი მასალები წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული) საბაკალავრო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული) საბაკალავრო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტი (იხ. დანართი 2).

4. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის მეოთხე საკითხის - მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებთან ერთად დეტალურად

გაიარა ანკეტა-კითხვარში შესატანი რაოდენობრივი ცვლილებები სამაგისტრო პროგრამების მიხედვით (იხ. დანართი 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი კორექტირებული მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის კორექტირებული ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 3).

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები. ამ განყოფილებაში ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა შემდეგი საკითხები:

5.1. (იხ. დანართები 4.1)

- ა) გამოყენებითი ნახევრადგამტარული ტექნოლოგიების ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლის მიღება;
- ბ) მაკრომოლეკულების ქიმიის და პოლიმერული მასალები ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლის მიღება;
- გ) გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიღება.

5.2. შოთა ვაშაკიძის სახელობის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა განახლებული სიის, დებულებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება (იხ. დანართები 4.2).

5.1. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგ საკითხები:

- ა) გამოყენებითი ნახევრადგამტარული ტექნოლოგიების ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლის მიღება;
- ბ) მაკრომოლეკულების ქიმიის და პოლიმერული მასალები ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლის მიღება;
- გ) გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიღება.

კენჭისყრის შედეგები: ა) დამტკიცებულია ერთხმად;

ბ) დამტკიცებულია ერთხმად;

გ) დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ა) გამოყენებითი ნახევრადგამტარული ტექნოლოგიების ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლებს დაემატოს: თამაზ მაკალათია, ფიზიკა-მათ, დოქტორი, უფროსი მეცნიერ-მკვლევარი;

ბ) მაკრომოლეკულების ქიმიის და პოლიმერული მასალების ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლებს დაემატოს: თამაზ გულიაშვილი, ქიმიის დოქტორი, პოლიმერული ნაწარმების განყოფილების მეცნიერ-მკვლევარი;

გ) გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს დაემატოს:

- ვუგარ ალიევი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტორი, რისკების ანალიზისა და მართვის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერ-მკვლევარი;
- მარიამ მჭედლიშვილი, ბიოლოგიის დოქტორი, ბიოინჟინერიისა და გარემოს აღდგენის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერ-მკვლევარი;

- გიორგი მჭედლიშვილი, ეკოლოგიის მაგისტრი, ბიოინჟინერიისა და გარემოს აღდგენის განყოფილების მეცნიერ-მკვლევარი.

ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობით მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციას, რომ აღნიშნულ პირებს გაუფორმოს ერთწლიანი კონტრაქტი, ანაზღაურების გარეშე.

5.2. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შოთა ვაშაკიძის სახელობის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა სიის, დებულებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს შოთა ვაშაკიძის სახელობის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა სია, დებულება და სამოქმედო გეგმა (იხ. დანართები 4.2).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

